ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა
საკონსკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი № 4

15 აპრილი 2019 წელი

დაბა ქედა

სხდომის დასაწყისი 12:00 სთ-ზე;
სხდომის დასასრული 13:00 სთ-ზე.

სხდომას ხელმძღვანელობდა: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, - ბადრი სურმანიძე

სხდომას ესწრებოდნენ :

საკონკურსო კომისიის წევრები: ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, - სულიკო ჩხიკვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
კომისიის წევრი-როლანდი ბერიძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული
სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების
მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი
სპეციალისტი ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში,
კომისიი წევრი - ლია ბოლქვაძე

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა
პროფესიული გაერთიანების თავმჯდომარე,
კომისიის წევრი - სოფიო ხაბაზი

კომისიის სხდომას არ ესწრებოდნენ:
- დავით დავითაძე, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, მოწვეული სპეციალისტი, კომისიის წევრი;
- დავით ანანიძე, ააიპ „დემოკრატიის ინსტიტუტის“ წარმომადგენელი, - კომისიის წევრი.

დღის წესრიგი:

1. **2019 წლის 12 თებერვლის №192 ბრძანებით განსაზღვრული მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დახურული კონკურსის შეფასების ეტაპის- ზეპირი დავალებისა და გასაუბრების ქულების განხილვა,**

საბოლოო შედეგების შეჯამება, გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა და დანიშვნის მქონე პირისათვის (მუნიციპალიტეტის მერი) დასანიშნად წარდგენა.

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ და სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

სხდომაზე თავდაპირველად განხილულ იქნა კონკურსანტის მიერ გასაუბრებაზე დაგროვილ ქულათა შედეგები.

გასაუბრება ჩატარდა ინდივიდუალური (ზეპირი) გასაუბრების საფუძველზე, ქედის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით განსაზღვრულ სამართლებრივი აქტებიდან და შეფასება მოხდა საკონსკურსო კომისიის 2019 წლის 15 მარტის №1 სხდომის ოქმში განსაზღვრული შეფასების სისტემისა და კონკურსანტის შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით.

კონკურსანტმა საშუალო არითმეტიკული ქულის გამოანგარიშებით მიიღო შეფასების ეტაპის (გასაუბრება) შესაძლო max 30 ქულიდან 26 ქულა, გადალახა მინიმალური ბარიერი და განხილულ იქნა კონკურსის საბოლოო შედეგების შეჯამების ეტაპზე, რომელიც განხორციელდა ზეპირი დავალებისა (22 ქულა) და გასაუბრებაზე (26 ქულა) მიღებულ ქულათა დაჯამებით.

საბოლოო შედეგის გათვალისწინებით, მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის პოზიციაზე კონკურსანტი პ/ნ 61008000718, რომელმაც საბოლოო შეფასებით მიიღო 48 ქულა, გამოცხადდა გამარჯვებულად (ოქმს თან ერთვის კონკურსანტის შეფასების ფორმები).

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიამ გადაწყვიტა:

1. **2019 წლის 12 თებერვლის №192** ბრძანებით განსაზღვრული მერიის მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის ვაკანტური პოზიციის დასაკავებლად დახურული კონკურსის შედეგების მიხედვით კონკურსანტი პ/ნ 61008000718 გამოცხადდეს გამარჯვებულად.
2. მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - მშენებლობის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების უფროსის პოზუციაზე კომისიის მიერ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წამოყენებულ იქნას და ქედის მუნიციპალიტეტის მერს დასანიშნად წარედგინოს კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტი პ/ნ 61008000718 .
3. ეთხოვოს კომისიის თავმჯდომარეს ამ გადაწყვეტილების შესაბამისი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის გამოცემა.
4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ შიდა ვებგვერდზე (**keda.ge**).
5. იმ კანდიდატს, რომელიც გამოვლინდა გამარჯვებულად, მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ მის მიერ მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართზე შეტყობინების გაგზავნით, გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ბადრი სურმანიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: სულიკო ჩხიკვაძე

კომისიის წევრები: როლანდი ბერიძე

ლია ბოლქვაძე

სოფიო ხაბაზი